# საქართველოს კანონი

## საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ

**მუხლი 1.** საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №41(48), 1999 წელი, მუხ. 209) მე-300 მუხლის მე-4 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„4. ელექტროდენით, თევზჭერის ელექტროიარაღით, სხვა აკრძალული იარაღით, ასაფეთქებელი ან მომწამლავი ნივთიერებით ან თევზის ან წყლის სხვა ცოცხალი ორგანიზმის მასობრივი განადგურების სხვა საშუალებით უკანონო თევზჭერა –

ისჯება საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით სამას ოციდან ოთხას საათამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ოთხ წლამდე.“.

**მუხლი 2.** ეს კანონი ამოქმედდეს 2024 წლის 1 ოქტომბრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი

თბილისი,

27 ივნისი 2024 წ.

N4305-XIVმს-Xმპ